

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შეესაბამება მალტის სტანდარტებს და მარეგულირებელ მოთხოვნებს, მაგრამ შეიძლება არ აკმაყოფილებდეს სხვა ქვეყნებში მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება : ვიდატი 10ლ VYDATE® 10L
სინონიმები : B11553638
DPX-D1410-397

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

ნივთიერების/ნარევის გამოყენება : ნემატოციდი

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

კომპანია : Du Pont de Nemours Italiana S.r.l. "დიუპონ დე ნემური (იტალია) ს.რ.ლ."
Centro Direzionale "Villa Fiorita"
Via Piero Gobetti 2/C
20063 Cernusco sul Naviglio (MI)
იტალია
ტელეფონი : +39 02 926291
ტელეფაქსი : +39 02 92107755
ელ-ფოსტა : SDS@Corteva.com

1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

+(44)-870-8200418 (CHEMTREC)

(+39) 02 66101029 ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრი, მილანი ნიგუარდა (24 სთ)

ტოქსიკოლოგიური ცენტრები შეიძლება ფლობდეს მხოლოდ პროდუქტების შესახებ (EC) 121272/2008 რეგულაციისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელ ინფორმაციას.

პარაგრაფი 2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 2 H 300: სასიკვდილოა გადაყლაპვისას.

მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 2 H 331: ტოქსიკურია ჩასუნთქვისას.

გრძელვადიანი (ქრონიკული) ტოქსიკურობა H411: ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების
წყლის ორგანიზმებისთვის, კატეგორია 2 გრძელვადიანი შედეგებით.

2.2 ეტიკეტის ელემენტები



უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

საშიშროება

H300: სასიკვდილოა გადაყლაპვისას.
H331: ტოქსიკურია ჩასუნთქვისას.
H411: ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

ზოგიერთი ნივთიერების ან ნარევის სპეციალური მარკირება
EUH208 შეიცავს: ტრინატრიუმ 5-ჰიდროქსი-1-(4-სულფოფენილ)-4-(4-სულფოფენილაზო)პირაზოლ-3-კარბოქსილატს. შეუძლია გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.

EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

P261 არ შეისუნთქოთ მტვერი/კვამლი/აირი/ნისლი/ორთქლი/შხეფები.
P270 არ ჭამოთ, არ დალიოთ ან არ მოწიოთ გამოყენების დროს.
P301 + P310 *გადაყლაპვისას:* დაუყოვნებლივ დარეკეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრში/ ექიმთან.
P304 + P340 *ჩასუნთქვისას:* დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და ამყოფეთ სუნთქვისთვის კომფორტულ პოზიციაში.
P310 სასწრაფოდ დარეკეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრში / ექიმთან.
P321 სპეციფიკური მკურნალობა (დამატებით იხილეთ ამავე ეტიკეტზე მითითებული პირველადი დახმარების ინსტრუქციები).
P330 გამოირეცხეთ პირის ღრუ.
P391 შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.
P403+ P433 შეინახეთ კარგად განიავებად ადგილას. შეინახეთ ჰერმეტიკულ ტარაში.
P501 შიგთავსი/ტარა უტილიზაცია უნდა მოხდეს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

SP 1 არ დააბინძუროთ წყლები პროდუქტით ან მისი ტარით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ ფერმებიდან და გზებიდან სადრენაჟე სისტემებით დაბინძურება).

2.3. სხვა რისკები

ეს ნივთიერება / ნარევი არ შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც 0,1% ან უფრო მაღალ კონცენტრაციაზე განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) ან ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

3.2. ნარეგები

რეგისტრაციის ნომერი	კლასიფიკაცია რეგულაციის (EU) 1272/2008 [CLP] შესაბამისად	კონცენტრაცია (% w/w)
---------------------	--	----------------------

ოქსამილი (CAS-No.23135-22-0) (EC-No.245-445-3)

(M-კოეფიციენტი : 10[მწვავე] 1[ქრონიკული])

	მწვავე ტოქ. 1; H300 მწვავე ტოქ. 2; H330 მწვავე ტოქ. 4; H312 STOT SE 3; H336 წყლისთვის მწვავე 1; H400 წყლისთვის ქრონიკული 2; H411	10 %
--	---	------

ზემოთ აღნიშნული პროდუქტები შეესაბამება REACH რეგისტრაციის მოთხოვნებს. რეგისტრაციის ნომერი(ები) შეიძლება არ იყოს მოცემული, თუ ნივთიერებები არ ექვემდებარება აღრიცხვას, ჯერ არ არის რეგისტრირებული REACH-ში, ან რეგისტრირებულია სხვა მარეგულირებელი პროცესების შესაბამისად (ბიოციდების გამოყენება, მცენარეთა დაცვის საშუალებები) და სხვა.

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- ზოგადი რჩევა** : დაუყოვნებლივ დარეკეთ ექიმთან ან ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრში. სუნთქვის დარღვევის ან შეწყვეტის დროს ჩაუტარეთ ხელოვნურ სუნთქვა. უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი.
- : შეიცავს N-მეთილის კარბამატს, რომელიც ახდენს ქოლინესტერაზას ინჰიბირებას. ეს პროდუქტი შეიცავს ანტიქოლინესტერაზულ ნივთიერებას. არ გამოიყენოთ, თუ ექიმის მითითებით გეკრძალებათ ასეთ ნაერთებთან მუშაობა.
- ჩასუნთქვისას** : დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. ჟანგბადი ან ხელოვნური სუნთქვა გამოიყენეთ საჭიროების შემთხვევაში. სამკურნალო რჩევისთვის დარეკეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრში ან მიმართეთ ექიმს.
- კანზე მოხვედრისას** : დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საპნით და დიდი რაოდენობის წყლით. კანის გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. თუ კანზე მოხვედრის შემდეგ მოწამვლის ნიშნები გამოვლინდა დაუყოვნებლივ დარეკეთ ექიმთან ან ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრში. გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

- თვალში მოხვედრისას : მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გახელილი თვალები ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება, მიმართეთ სპეციალისტს.
- გადაყლაპვისას : სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს ან ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრს. ჩაყლაპვის შემთხვევაში დალიეთ 1- 2 ჭიქა წყალი და ერთხელ ან ორჯერ ხახის უკანა კედელზე თითის შეხებით გამოიწვიეთ ღებინება. ღებინება გამოიწვიეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს გრძნობა არა აქვს დაკარგული. გამოივლეთ პირის ღრუში წყლი.

4.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

- რისკები : პროდუქტი შეიცავს ანტიკოლინესტერაზულ ნივთიერებას. არ გამოიყენოთ ეს პრეპარატი, თუ ექიმი არ გირჩევთ ამგვარ ნაერთებთან მუშაობას. არ დაუშვათ ნებისმიერი ქოლინესტერაზას ინჰიბიტორით შემდგომი ზემოქმედება დაზარალებულის სრულ გამოჯანმრთელებამდე.
- სიმპტომები : მოწამვლა იწვევს ანტიკოლინესტერაზას მოქმედებასთან დაკავშირებულ ეფექტებს, რაიმელიც შეიძლება მოიცავდეს: სისუსტეს, მხედველობის დაბინდვას, სუნთქვის გაძნელებას, გულისრევას, თავის ტკივილს, მუცლის ტკივილს, დისკომფორტს გულმკერდის არეში, გუგის შევიწროვებას, პულსის შენელებას, ოფლიანობას, კუნთების ტკვას.

4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება

- მკურნალობა : ატროპინის სულფატი, როგორც ანტიდოტი გამოყენება სრულ ატროპინიზაციამდე (1.2-2.0 მგ. ინტრავენური შეყვანა ყოველ 10-30 წუთში). პრალიდოქსიმი (2-PAM) შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ანტიდოტი ატროპინის სულფატთან ერთად, თუმცა არ შეიძლება მისი დამოუკიდებლად გამოყენება.
- უკუჩვენება: ოქსიმები (პრალიდოქსიმი), სუქცინილქოლინი და სხვა ქოლინერგული საშუალებები, სუნთქვის მასტიმულირებლები და ფიზიოსტიგმინი. უკუნაჩვენებია მორფინით მკურნალობა

პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

- ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყლის ჭავლი, მშრალი ფხვნილი, ქაფი, ნახშირორჟანგი (CO₂)
- ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები : დიდი მოცულობის წყლის ჭავლი, (დაბინძურების რისკი)

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

- განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : ხანძრის პირობებში წარმოქმნილი საშიში დაშლის პროდუქტები: ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂), აზოტის ოქსიდები (NOx).

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

- სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისთვის : ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი და გამოიყენეთ სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
- დამატებითი ინფორმაცია : არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლით ზედაპირული წყლების ან გრუნტის წყლების სისტემის დაბინძურება. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. ის არ უნდა ჩაღვართ კანალიზაციაში. ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის გაუვნებელყოფა/განთავსება მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.
- :(მცირე ხანძრების დროს) თუ ტერიტორია ძლიერ მოიცვა ხანძარმა და პირობები იძლევა საშუალებას, ხანძარს მიეცით თვითჩაქრობის საშუალება, ვინაიდან წყალმა შეიძლება გაზარდოს დაბინძურების ზონა. გააგრძელეთ პროდუქტის ტარა/ავზები წყლის ჭავლით.

პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

- პირადი უსაფრთხოების ზომები : გააკონტროლეთ ტერიტორიაზე დაშვება. პერსონალი გაარიდეთ დაღვრის/გაჟონვის ადგილსა და ქარპირა მხარეს. გაანიავეთ დაბინძურებული სივრცე. მიიღეთ სიფრთხილის ზომები სტატიკური ელექტროზის განმუხტვის თავიდან ასაცილებლად. დაიცავით თვალები, კანი და ტანსაცმელი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. იხილეთ მე-7 და მე-8 პარაგრაფებში ჩამოთვლილი დამცავი ღონისძიებები.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები : გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ შესაბამისი კონტეინერი. შეაჩერეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა. არ ჩაღვართ ზედაპირულ წყლებსა და კანალიზაციის სისტემაში. არ დაუშვათ პრეპარატით მიწისქვეშა წყლის სისტემის დაბინძურება. თუ მასშტაბური დაღვრის შეჩერება ვერ ხერხდება, შეატყობინეთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თუ დაღვრის არეალი ფოროვანია, დაბინძურებული მასალა უნდა შეგროვდეს შემდგომი დამუშავების ან უტილიზაციის მიზნით. თუ პრეპარატმა დააბინძურა მდინარეები და ტბები ან საკანალიზაციო სისტემები, აცნობეთ შესაბამის ორგანოებს.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

- დასუფთავების მეთოდები : დასუფთავების მეთოდები – მცირე რაოდენობით დაღვრა: გამოიყენეთ ინერტული მშთანქმელი მასალები.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

მოწმინდეთ ან შეაგროვეთ მტვერსასრუტით და მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში უტილიზაციისათვის.
დასუფთავების მეთოდები – მასშტაბური დაღვრა შეაჩერეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა. დაღვრილი პროდუქტის შეწოვა მოახდინეთ ინერტული მშთანთქმელი მასალის (მაგალითად, ქვიშა, მიწა, დიატომური მიწა, ვერმიკულატი) საშუალებით, გადაიტანეთ შესაბამის კონტეინერში ადგილობრივი/ეროვნული რეგულაციების შესაბამისად უტილიზაციისათვის (იხ. პარაგრაფი 13). დიდი მოცულობით დაღვრილი პროდუქტი უტილიზაციისთვის უნდა შეგროვდეს მექანიკურად (ამოიტუმშვით). დაღვრილი სითხე შეაგროვეთ ჰერმეტიკულ (მეტალის/ პლასტმასის) კონტეინერში ან ავზებში. შეაგროვეთ დაბინძურებული მშთანთქმელი მასალა და განათავსეთ უტილიზაციისათვის.

სხვა ინფორმაცია : არასოდეს დააბრუნოთ დაღვრილი პრეპარატი ქარხნულ ტარაში ხელმეორედ გამოყენების მიზნით. უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის ზომების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში. უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციები იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

პარაგრაფი 7. მოხმარება და შენახვის პირობები

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

უსაფრთხო გამოყენების რჩევები : გამოიყენეთ მხოლოდ ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. პირადი უსაფრთხოების შესახებ იხილეთ მე-8 პარაგრაფი. გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა აპარატურა. არ შეისუნთქოთ მტვერი ან შხეფები. პრეპარატის ტარის გახსნისას არ შეისუნთქოთ ამოსული ორთქლი. სამუშაო ხსნარი მოამზადეთ, როგორც ეს მითითებულია ეტიკეტ(ებ)ზე და/ან მოხმარებლის ინსტრუქციებზე. სამუშაო ხსნარი გამოიყენეთ მომზადებისთანავე – არ შეინახოთ. მუშაობის დროს ხსნარის გადმოღვრის თავიდან ასაცილებლად ბოთლი მოათავსეთ მეტალის სადგარზე. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები. გაიხადეთ და გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმლის ხელმეორედ გამოყენებამდე. არასოდეს დააბრუნოთ გამოუყენებელი პროდუქტი საწყობში შესანახად.

აალებისა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები : შეინახეთ სითბოს და აალების წყაროებისაგან შორს. მიიღეთ ზომები ელექტრული განმუხტვის ასაცილებლად.

7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

სასაწყობე სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები : შეინახეთ ჩაკეტილ სათავსოში. შეინახეთ მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. შეინახეთ ქარხნულ ტარაში. შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ ტარაში.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

- : შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურული თავდახურული მშრალ, გრილ და კარგად განიავეზად ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ფურაჟისაგან შორს.
- რჩევები შერეულ დასაწყობებზე : შეინახეთ: ძლიერი ფუმეებისგან და ძლიერი მჟავებისგან შორს.
- სხვა მონაცემები : სტაბილურია რეკომენდებულ პირობებში შენახვისას.
- შენახვის ტემპერატურა : > 0 °C
- სხვა მონაცემები : არ გაყინოთ.

7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

მცენარეთა დაცვის პროდუქტები ექვემდებარება (EC) No 1107/2009 რეგულაციას.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1. კონტროლის პარამეტრები

თუ ეს ქვეპარაგრაფი ცარიელია, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება. კონტროლის პარამეტრების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შესაბამისი რეგულაცია.

კომპონენტები სამუშაო ადგილის კონტროლის პარამეტრებით

ტიპი ზემოქმედების ფორმა	კონტროლის პარამეტრები (გამონახტება როგორც)	განახლება	რეგულაციური საფუძველი
ზღვრული სიდიდე – 8 სთ	8.4 მგ/მ ³ 2 ppm (მმნ)	2000-06-16	ევროკომისიის 2000/39/EC დირექტივა, სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სიის შექმნა
მოკლევადიანი ექსპოზიციის ზღვარი	12.6 მგ/მ ³ 3 ppm (მმნ)	2000-06-16	ევროკომისიის 2000/39/EC დირექტივა, სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სიის შექმნა
გრძელვადიანი ექსპოზიციის ზღვარი	8.4 მგ/მ ³ 2 ppm (მმნ)	2003-09-05	მალტა. სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრები
სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრული მაჩვენებელი მოკლევადიანი, 15 წუთი	12.6 მგ/მ ³ 3 ppm (მმნ)	2003-09-05	მალტა. სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრები

8.2. ექსპოზიციის კონტროლი

- საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები : უზრუნველყავით სათანადო განიავეზა, განსაკუთრებით შეზღუდულ სივრცეებში. გამოიყენეთ საკმარისი განიავეზა, დასაქმებულზე ექსპოზიციის რეკომენდებული ზღვრების ქვემოთ შესანარჩუნებლად.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

- თვალეების დაცვა : უსაფრთხოების სათვალე გვერდითი ფარებით, რომელიც შეესაბამება EN166-ს.
- ხელეების დაცვა : მასალა: ნიტრილური რეზინი
ხელთათმნის სისქე: 0.4 – 0.7 მმ
ხელთათმნის სიგრძე: 35 სმ სიგრძის და უფრო გრძელი.
დაცვის ინდექსი: მე-6 კლასი
გაცვეთის დრო : 8 სთ
შერჩეული დამცავი ხელთათმნის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის 89/686/EEC დირექტივასა და მისგან მიღებულ სტანდარტს EN374. გთხოვთ დაიცავთ მასალის გამტარობის და დამცავ შრეში შეღწევის (გაცვეთის) დროის შესახებ მომწოდებლის მიერ დადგენილი მითითებები. ასევე მხედველობაში მიიღეთ კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რომლის დროსაც გამოიყენება პროდუქტი, როგორცაა გაჭრის, გაკაწვრის საშიშროება და კონტაქტის დრო. სპეციფიკურ სამუშაო ადგილთან შესაბამისობა უნდა განიხილოთ დამცავი ხელთათმნის მწარმოებელთან. ხელთათმნის გაცვეთის დრო დამოკიდებულია მასალის სხვადასხვა მახასიათებლებზე, სისქეზე, ხელთათმნის ტიპზე და შესაბამისად უნდა შეფასდეს ცალკეულ შემთხვევაში. გაცვეთის ზუსტი დროის დადგენა ხდება მწარმოებელთან და ის უნდა იყოს გათვალისწინებული. ხელთათმანი უნდა შემოწმდეს გამოყენებამდე. ხელთათმანები უნდა გადაიყაროს ან შეიცვალოს თუ შეინიშნება დეგრადაციის ან ქიმიური შეღწევადობის ნიშნები. 35 სმ უფრო მოკლე ხელთათმანი უნდა გაიკეთოთ კომბინირებული სახელოს ქვეშ. 35 სმ სიგრძისა და უფრო გრძელი ხელთათმანი უნდა გაიკეთოთ კომბინირებული სახელოს ზემოდან. სანამ გაიხდით ხელთათმანები გარეცხეთ საპნითა და წყლით.
- კანისა და სხეულის დაცვა : პროდუქტის წარმოება და დამუშავება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 5 (EN 13982-2).
შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 5 + 6 (EN ISO 13982-2 / EN 13034). რეზინის წინსაფარი, ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).
შესხურებით შეწამვლა – ღია სივრცეში: ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.
ტრაქტორი/ შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩის გარეშე: დაბალი ინტენსივობით გამოყენება: დამუშავება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 4 (EN 14605). ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).
საშუალო ინტენსივობით გამოყენება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 3 (EN 14605) . ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

მაღალი ინტენსივობით გამოყენება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 3 (EN 14605) . ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შემასხურებელი აპარატი: დაბალი ინტენსივობით გამოყენება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 4 (EN 14605). ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

საშუალო ინტენსივობით გამოყენება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 3 (EN 14605) . ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

მაღალი ინტენსივობით გამოყენება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 3 (EN 14605) . ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: შეწამვლის დროს ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

წვეთოვანი ირიგაცია: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებიარ არის საჭირო.

როდესაც განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვს დამუშავებულ ფართობზე ხელმოკრედ შესვლის პერიოდის გასვლამდე მუშაობას, ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034), ნიტრილური რეზინის ხელთათმანი კლასი 2 (EN 374) და ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

ზოგიერთი ქსოვილის ტარების დროს, ერგონომიკის ოპტიმიზაციისთვის შესაძლოა რეკომენდებული იყოს ზამბის საცვლების გამოყენება. მიიღეთ რჩევა მომწოდებლისგან. წყლის ორთქლის, ასევე ჰაერის მიმართ მდგრადი ტანსაცმლის მასალები, მაქსიმალურად გაზრდის ტარების კომფორტს. მასალები უნდა იყოს მყარი, რათა გამოყენებისას შეინარჩუნოს მთლიანობა და დაცვის ფუნქცია.

ქსოვილის გამტარიანობა უნდა შემოწმდეს რეკომენდებული დაცვის „ტიპისგან“ დამოუკიდებლად, რათა შეფასდეს შესაბამისი აგენტებისა და ექსპოზიციის ტიპის მიმართ მასალის გამძლეობის დონე.

დამცავი ზომები

- : დამცავი აღჭურვილობის ტიპი უნდა შეირჩეს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საშიში ნივთიერების კონცენტრაციისა და რაოდენობის გათვალისწინებით. ყველა ქიმიური ინდივიდუალური დაცვის საშუალება გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანი უნდა შეიცვალოს ქიმიური ან ფიზიკური დაზიანების, ან დაზინძურების შემთხვევაში.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

ჰიგიენური მოთხოვნები

პროდუქტის გამოყენების პერიოდში მხოლოდ სათანადოდ დაცულ მომუშავეს შეუძლია ფართობზე ყოფნა.

: გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. რეგულარულად გაწმინდეთ აღჭურვილობა, სამუშაო ადგილი და ტანსაცმელი. სამუშაო ტანსაცმელი შეინახეთ განცალკევებით. დაბინძურებული ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ზონიდან. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სახე. გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დაღევა ან თამბაქოს მოწევა. შეინახეთ საკვებ პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისგან შორს. გაიხადეთ ტანსაცმელი/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, თუ პრეპარატი შეაღწევს შიგნით. გარემოს დაცვის მიზნით გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელმეორედ გამოყენებამდე. ნარეცი წყლის გაუფნებლობა მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული წესების შესაბამისად.

სამუშაოს დასრულებისთანავე მიიღეთ შხაპი. გასარეცხად, შხაპის მისაღებად და გამოსაცვლელად აუცილებელია ცალკე ოთახები.

სასუნთქი გზების დაცვა

: წარმოება და დამუშავება: ნახევარნიღაბი ორთქლის ფილტრით A3 (EN 141).

შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: ნახევარნიღაბი ორთქლის ფილტრით A3 (EN 141).

ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

ტრაქტორი/ შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩის გარეშე: ნახევარნიღაბი კომბინირებული ფილტრით A2/P3 (EN 141).

ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შემასხურებელი აპარატი: ნახევარნიღაბი კომბინირებული ფილტრით A2/P3 (EN 141).

მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

წვეთოვანი ირიგაცია: ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

- ფორმა : სველებადი ფხვნილი
- ფერი : მუქი მწვანე
- სუნი : მსუბუქი, გოგირდის
- სუნის შეგრძნების ზღვარი : არ არის განსაზღვრული.
- pH : 3.5 10 გ/ლ დროს (20°C)

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად

**ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)**

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (ცვლის: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

ლღობის ტემპერატურა/დიაპაზონი	:	არ გამოიყენება
დუღილის ტემპერატურა/დუღილის დიაპაზონი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.
აალების ტემპერატურა	:	> 100 °C
თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა (SADT)	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
აალებადობა (მყარი, გაზი)	:	ხელს არ უწყობს წვას.
ანთების ტემპერატურა	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
თერმული დაშლა	:	არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.
დამჟანგავი თვისებები	:	პროდუქტი არ არის დამჟანგავი.
ფეთქებადი თვისებები	:	არ არის ფეთქებადი,
აფეთქების ქვედა ზღვარი/აალების ქვედა ზღვარი	:	არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის,
აფეთქების ზედა ზღვარი/აალების ზედა ზღვარი	:	არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.
ორთქლის წნევა	:	არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.
სიმკვრივე	:	1.023 გ/სმ ³ 25 °C-ზე
ფარდობითი სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
მოცულობითი სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
წყალში ხსნადობა	:	ხსნადი
განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი / წყალი	:	არ გამოიყენება
თვითაალების ტემპერატურა	:	არ არის თვითაალებადი.
ხსნადობა სხვა გამხსნელებში	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
სიბლანტე, დინამიკური	:	2 მპა.წმ 25 °C-ზე, 30 rpm (ბრ. წთ)
სიბლანტე, კინემატიკური	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე	:	არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.
აორთქლების სიჩქარე	:	არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.

9.2. დამატებითი ინფორმაცია

სპეციალურად მისათითებელი სხვა მონაცემები არ არის.

პარაგრაფი 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა	:	არ არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი.
10.2. ქიმიური მდგრადობა	:	აღნიშნული პროდუქტი ქიმიურად სტაბილურია შენახვის, გამოყენებისა და ტემპერატურის რეკომენდებული პირობებში.
10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა	:	ნორმალურ პირობებში გამოიყენებისას სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი. პოლიმერიზაცია არ მოხდება, არ იშლება მითითებული წესების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს.
10.4. ასარიდებელი გარემოებები:	:	ტემპერატურა: < 0 °C. გაყინვისგან დაცვა.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად

**ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)**

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

10.5. შეუთავსებელი მასალები/ნივთიერებები : შეუთავსებელია ძლიერ ტუტეებთან და ძლიერ მჟავებთან.

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები : გოგირდის ოქსიდები

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია**11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ**

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა

LD50 / მდედრი და მამრი ვირთაგვები : 39 მგ/კგ
მეთოდი: OECD 401 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

LC50 / 4 სთ ვირთაგვა : 0.62 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 403 სახელმძღვანელო პრინციპებით
ტოქსიკოლოგიური მონაცემები აღებულია მსგავსი შემადგენლობის პროდუქტებისაგან. ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

LD50 / კურდღელი : > 5000 მგ/კგ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 402 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

კანის გაღიზიანება

კურდღელი
შედეგი: არ აღიზიანებს კანს.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 404 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

თვალების გაღიზიანება

კურდღელი
შედეგი: არ აღიზიანებს თვალებს
მეთოდი: ტესტი OECD-ის 405 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია

ზღვის გოჭი. მოდიფიცირებული ბულერის ტესტი
შედეგი: ცხოველებზე ტესტირებამ კანზე კონტაქტით არ გამოიწვია მასენსიბილიზებული მოქმედება.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 406 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე)

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად

**ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)**

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა

- **ოქსამილი**

ჩაყლაპვა, ვირთავვა

ექსპოზიციის დრო: 24 თვე

ტოქსიკოლოგიური ეფექტები, რომელიც სამიზნე ორგანოების ტოქსიკურობის კლასიფიკაციას მოითხოვს არ გამოვლენილა კლასიფიკაციისთვის რეკომენდებული მნიშვნელობების ქვემოთ. ქოლინესტერაზას ინჰიბირება.

კანზე კონტაქტი, კურდღელი

ექსპოზიციის დრო: 21 დღე

მეთოდი: US EPA ტესტი OPP 82-2 სახელმძღვანელო პრინციპებით

ტოქსიკოლოგიური ეფექტები, რომელიც მოითხოვს სამიზნე ორგანოების ტოქსიკურობის კლასიფიკაციას, არ გამოვლენილა კლასიფიკაციისთვის რეკომენდებული მნიშვნელობების ქვემოთ.

პერორალული –კვება სხვადასხვა სახეობები

ექსპოზიციის დრო: 15 დღე

LOAEL: 0.75 მგ/კგ

სხეულის წონის შემცირება, ქოლინესტერაზას ინჰიბირება, ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მუტაგენური აქტივობის შეფასება

- **ოქსამილი**

ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. ბაქტერიული ან ძუძუმწოვრების უჯრედთა კულტურებზე ჩატარებულმა ტესტებმა არ აჩვენა მუტაგენური ეფექტები.

კანცეროგენული აქტივობის შეფასება

- **ოქსამილი**

არ არის კლასიფიცირებული როგორც ადამიანის მიმართ კანცეროგენული. ცხოველებზე ექსპერიმენტებმა არ გამოავლინა კანცეროგენული მოქმედება.

რეპროდუქციული ტოქსიკურობის შეფასება

- **ოქსამილი**

რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რეპროდუქციაზე გავლენა მშობლების ტოქსიკურობის გამომწვევი ზემოქმედების ექვივალენტურ ან უფრო მაღალ დონეზე. არ ახდენს გავლენას ლაქტაციაზე და ლაქტაციის გზით.

ტერატოგენური მოქმედების შეფასება

- **ოქსამილი**

ცხოველებზე ტესტირებამ გამოავლინა ემბრიონის-ჩანასახის განვითარებაზე ზემოქმედება დედის ტოქსიკურობის გამომწვევი ზემოქმედების ექვივალენტურ ან უფრო მაღალ დონეზე.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად

**ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)**

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

STOT (სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა) – ერთჯერადი ექსპოზიცია

ნივთიერება ან ნარევი არ არის კლასიფიცირებული როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, ერთჯერადი ექსპოზიცია.

STOT – განმეორებითი ექსპოზიცია

ნივთიერება ან ნარევი არ არის კლასიფიცირებული როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, განმეორებითი ექსპოზიცია.

ასპირაციის საფრთხე

ნარევის არ გააჩნია თვისებები, რომლებიც ასოცირდება ასპირაციის საშიშროების პოტენციალთან.

პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია**12.1. ტოქსიკურობა**

თევზების მიმართ ტოქსიკურობა

LC50 / 96 სთ / თევზი (დაუზუსტებელი სახეობები): 27 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

წყალმცენარეების მიმართ ტოქსიკურობა

ErC50 / 72 სთ / Pseudokirchneriella subcapitata (მიკრო წყალმცენარე): 34 მგ/ლ.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა

EC50 / 48 სთ/ Daphnia magna (წყლის რწყილი): 3.0 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

LC50 / 14 დღე / Eisenia fetida (ჭიკილეები): > 1 000 მგ / კგ ნიადაგზე
მეთოდი: ტესტი OECD-ის 207 სახელმძღვანელო პრინციპებით
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

სხვა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

LD50 / Colinus virginianus (ვირჯინიული გნოლი): 11 მგ/კგ

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

მეთოდი: ტესტი US EPA-ის OPPTS 850.2100 სახელმძღვანელო პრინციპებით (მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

LC50 / 48 სთ / Apis mellifera (ფუტკრები): > 2.60 მკგ/ფუტკარზე
მეთოდი: ტესტი OEPP/EPPO-ის 170 სახელმძღვანელო პრინციპებით
პერორალური (მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

LC50 / 48 სთ / Apis mellifera (ფუტკრები): > 2.30 მკგ/ფუტკარზე
მეთოდი: ტესტი OEPP/EPPO-ის 170 სახელმძღვანელო პრინციპებით
კონტაქტური (მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

ქრონიკული ტოქსიკურობა თევზების მიმართ

- ოქსამილი

NOEC / 29 დღე / Cyprinodon variegates (ჭიჭყინები): 0.356 მგ/ლ.
ტესტი OECD-ის 210 სახელმძღვანელო პრინციპებით

NOEC / 61 დღე / Oncorhynchus mykiss (ცისარტყელა კალმახი): 0.77 მგ/ლ
ცხოვრების ადრეულ ეტაპზე NOEC / 61 დღე / Oncorhynchus mykiss (ცისარტყელა კალმახი): 0.77 მგ/ლ
მეთოდი: US EPA ტესტი OPP 72-4 სახელმძღვანელო პრინციპებით

ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის უხერხემლოების მიმართ

- ოქსამილი

NOEC / 28 დღე/Americamysis bahia (კრევეტები-მიზიდები): 0.0189 მგ/ლ

გამდინარე (დინამიკური) ტესტი/NOEC / 21დღე/ Daphnia magna (წყლის რწყილი): 0.0268 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

ბიოდეგრადაციის უნარი

ადვილად არ განიცდის ბიოდეგრადაციას. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებით მიღებულ მონაცემებს.

12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ბიოაკუმულაცია

არა აქვს ბიოაკუმულაციის უნარი. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებით მიღებულ მონაცემებს.

12.4. მიგრაცია /მოხილურობა ნიადაგში

მოხილურობა ნიადაგში

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად

**ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)**

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

პოტენციურად მობილური, თუმცა გამოტუტვის პოტენციალი მცირდება ნიადაგში სწრაფი დეგრადაციის გამო.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

PBT და vPvB შეფასება

ეს ნარევი არ შეიცავს კომპონენტებს 0,1% ან უფრო მაღალი კონცენტრაციით, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) ან როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (VPVB),

12.6. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

დამატებითი ეკოლოგიური ინფორმაცია

გასათვალისწინებელი სხვა ეკოლოგიური ეფექტები არ არის.
დამატებითი გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც ეხება გარემოს დაცვას იხილეთ პროდუქტის ეტიკეტზე.

პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია**13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები**

პროდუქტი : ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს შესაბამის ინსენერატორში, რომელსაც აქვს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა. ნუ დაბინძურებთ ტბორებს, წყალსატევებს ან თხრილებს ნივთიერებებით ან გამოყენებული ტარით.

დაბინძურებული ტარა : დაუშვებელია ცარიელი ტარის ხელმეორედ გამოყენება.

პარაგრაფი 14: ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ**ADR**

- | | |
|--|--|
| 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: | 2992 |
| 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: | კარბამატული პესტიციდი, სითხე, ტოქსიკური (ოქსამილი) |
| 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: | 6.1 |
| 14.4. შეფუთვის ჯგუფი: | II |
| 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: | ეკოლოგიურად საშიში |
| 15.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: | |
| გვირაბში შეზღუდვის კოდი: | (D/E) |

IATA_C

- | | |
|--|--|
| 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: | 2992 |
| 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: | კარბამატული პესტიციდი, სითხე, ტოქსიკური (ოქსამილი) |
| 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: | 6.1 |

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად

**ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)**

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: II
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პარაგრაფი 12.
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:
"დიუპონ"-ის შიდა რეკომენდაციები და ტრანსპორტირების სახელმძღვანელო: აკრძალულია თვითმფრინავით გადაზიდვა.

IMDG

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 2992
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: კარბამატული პესტიციდი, სითხე, ტოქსიკური (ოქსამილი)
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 6.1
14.4. შეფუთვის ჯგუფი: II
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: ზღვის დამაბინძურებელი
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:
განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის საჭირო.
14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად არ გამოიყენება.

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია**15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა**

დიდი ავარიების საშიშროების კანონმდებლობა

სავესო III: ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2012/18 / EU, საშიში ნივთიერებებით გამოწვეული დიდი ავარიების კონტროლის შესახებ.

H2 მწვავე ტოქსიკური რაოდენობა: 50 ტ, 200 ტ

სხვა რეგულაციები:

პროდუქტი კლასიფიცირდება, როგორც საშიში, რეგულაციის (EC) No.1272/2008 შესაბამისად.

გაითვალისწინეთ 94 /33 / EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 92/85/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ორსულთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.

გაითვალისწინეთ 98/24/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 96/82/EC დირექტივა საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების საშიშროების კონტროლის შესახებ.

გაითვალისწინეთ 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია.

აღნიშნული პროდუქტი სრულად შეესაბამება REACH 1907/2006/EC რეგლამენტის მოთხოვნებს.

17/19

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსახპოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 05.02.2019
გამოცემის თარიღი: 26.03.2019

15.2. ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტისათვის/პროდუქტებისათვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ არის საჭირო. ნარევი შეფასებულია რეგულაციის (EC) 110 1107/2009 დებულებების ფარგლებში. ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ეტიკეტი.

პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

მე-3 პარაგრაფში მითითებული H- ფრაზების სრული ტექსტი.

H300	სასიკვდილოა ჩაყლაპვისას.
H312	მაკნეა კანზე მოხვედრისას.
H330	სასიკვდილოა ჩასუნთქვისას
H336	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.
H400	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H411	ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

პროფესიონალური გამოყენება

დამატებითი ინფორმაცია

აბრევიატურები და აკრონიმები

ADR	საშიში ტვირთების საგზაო გადაზიდვების ევროპული შეთანხმება
ATE	მწვავე ტოქსიკურობის დადგენა
CAS-No.	ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი
CLP	კლასიფიკაცია, მარკირება და შეფუთვა
EbC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ბიომასის 50% შემცირება
EC50	საშუალო ეფექტური კონცენტრაცია
EN	ევროპული ნორმა
EPA	გარემოს დაცვის სააგენტო
ErC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც ვლინდება ზრდის ტემპის 50%-იანი ინჰიბირება
EyC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც ვლინდება მოსავლიანობის 50%-იანი ინჰიბირება
IATA_C	საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია (ტვირთი)
IBC	დაუფასოებელი სახიფათო ქიმიკატების საერთაშორისო კოდი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMDG	საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთები
LC50	საშუალო ლეტალური კონცენტრაცია
LD50	საშუალო ლეტალური დოზა
LOEC	უმცირესი კონცენტრაცია, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
LOEL	უმცირესი დოზა, რომელზეც აღინიშნება ეფექტი

MARPOL საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

18/19

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი
შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ვიდატი 10 ლ (VYDATE® 10L)

საცნობარო ნომერი 130000000183 განახლების თარიღი: 05.02.2019
ვერსია 2.2 (შეიცვალა: ვერსია 2.1) გამოცემის თარიღი: 26.03.2019

n.o.s.	სხვაგვარად მითითებული არ არის
NOAEC	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების კონცენტრაცია
NOAEL	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე
NOEC	არაეფექტური კონცენტრაცია
NOEL	არაეფექტური დოზა (ან ექსპოზიციის დონე)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OPPTS	პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი.
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური
STEL	მოკლევადიანი ექსპოზიციის ზღვარი
TWA	დროში გასაშუალოებული ზემოქმედება (TWA)
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი

შემდგომი ინფორმაცია
გამოყენებამდე გაეცანით „დუპონის“ მიერ მოწოდებულ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას.
ყურადღება მიაქციეთ ეტიკეტზე მითითებულ გამოყენების ინსტრუქციას.
(R) დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი „ე.ი. დუპონტ დე ნემური ენდ კომპანი“ (E.I. du Pont de Nemours and Company).

შენიშვნა: CLP რეგულაციის VI დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების კლასიფიკაცია ეყრდნობა გამოქვეყნების ან შემდგომი ცვლილებების დროს არსებულ ცოდნას და ინფორმაციას. ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-11 და მე-12 პარაგრაფებში მოცემული კომპონენტების შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური პროგრესის და ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე, რიგ შემთხვევაში შეიძლება არ შეესაბამებოდეს იურიდიულად სავალდებულო კლასიფიკაციას.

წინა ვერსიიდან მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნული არის ორმაგი ზოლით.

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს (-ებს) და შეიძლება არ იყოს სარწმუნო პრეპარატ(ებ)ისათვის რომელიც გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში, ან, თუ პრეპარატი შეცვლილია ან დამუშავებული და ეს არ არის მითითებული ტექსტში.